ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის
ო ქ მ ი №01-06/05

დაბა ქედა, **27 ივნისი, 2025 წელი.**

სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 14:35 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 15.
სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
რეზო თურმანიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ვაჟა აბულაძე - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
მამუკა გოგოლიშვილი - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი;

სხდომას არ ესწრებოდნენ:
დავით სირაბიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
ჯიმშერ სამნიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ირაკლი მახარაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი;
ინგა ანანიძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
ნონა ბერიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში;
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/05 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

27 ივნისი, 2025 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	
21	ინგა ანანიძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ სხდომაზე დასწრეთ წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 ივნისის №01-06/05 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1.„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

2. „ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ საბადურის ახალი ქუჩებისა და ჩიხების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: ლევან ბერიძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

5. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2024 წლის ანგარიში;

მომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

6. შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-ს 2024 წლის საქმიანობის ანგარიში.

მომხსენებელი: შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-ს დირექტორი: მალხაზ დიასამიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 ივნისის №01-06/05 მორიგი სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

1.მოისმინეს: ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №95-95251483, 28.05.2025 წელი.) და განმარტა, რომ ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი იყო ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილების კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესაბამისად, ცვლილება შედიოდა დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტსა და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის თავი IV[1]-ში. მომხსენებელმა აქვე აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი წინასწარი სამართლებრივი კონსულტაციისათვის გადაგზავნილი იყო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულ დეპარტამენტშიც (წერილის ნომერი: №95-95251536, 02.06.2025 წელი), საიდანაც მოვიდა გარკვეული ტიპის შენიშვნები (წერილის ნომერი: №03-95251671-95, 16.06.2025 წელი), რაც წარმოდგენილ პროექტში ასახულია (კომისიის დასკვნა: №დ95. 95251741, 23.06.2025 წელი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება №8, 27.06.2025 წელი).

2.მოისმინეს: ,,ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №95-95251487, 28.05.2025 წელი.) და განმარტა, რომ ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი იყო „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესრულება, კერძოდ: მუნიციპალიტეტის საკრებულო, მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე სისტემური მუშაობისა და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალურ საბჭოს, რომლის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და ქალთა და ბავშვთა საკითხებზე

მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი საკრებულო. აქედან გამომდინარე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ხორციელდებოდა ,,ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი დადგენილების ჩამოყალიბება და მიღება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება №9, 27.06.2025 წელი).

3.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ საბადურის ახალი ქუჩებისა და ჩიხების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ლევან ბერიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ საბადურის ახალი ქუჩებისა და ჩიხების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №95-95251742, 23.06.2025 წელი.) და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის პროექტის შესაბამისად, ხდება ახალი განკარგულების მიღება აღნიშნული განკარგულების მიღებას საფუძვლად უდევს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 30 მაისის №120258 (რეგისტრაციის ნომერი: №06-95251504-95) წერილი და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა (წერილის ნომერი: №d95.95251743, 23.06.2025 წელი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №g-95.95251784, 27.06.2025 წელი).

4.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმა შემდეგი სახით:

№	**განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები**	**განხილვის თარიღი**	**საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე**	**საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე**	**პასუხისმგებელი პირი საკითხის მომზადებაზე**
1	აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსაგან ინიცირებული საკითხების განხილვა და დამტკიცება	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
2	შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“ - ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა	ივლისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“ - ს დირექტორი
3	ა(ა)იპ “ქედის სასპორტო სკოლა“-ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა	ივლისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ა(ა)იპ “ქედის სასპორტო სკოლა“-ს დირექტორი
4	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის 2025 წლის მეორე კვარტალის ანგარიშის მოსმენა - განხილვა	აგვისტო	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი
5	საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წლიური ანგარიშის წარდგენა	აგვისტო	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე
6	შპს სარაგბო კლუბი „ფირალები“ - ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა	სექტემბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	შპს სარაგბო კლუბი „ფირალები“-ს დირექტორი
7	ა(ა)იპ „ქედის სახელოვნებო სკოლა“-ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა	სექტემბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ა(ა)იპ „ქედის სახელოვნებო სკოლა“-ს დირექტორი

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95251783, 27.06.2025 წელი).

5.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2024 წლის ანგარიში.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2024 წლის ანგარიში (წერილის ნომერი: №დ95.95251742, 23.06.2025 წელი.)

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95251782, 27.06.2025 წელი).

6.მოისმინეს: შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო"-ს 2024 წლის საქმიანობის ანგარიში.

მომხსენებელმა შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო"-ს დირექტორმა მალხაზ დიასამიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო"-ს 2024 წლის საქმიანობის ანგარიში (წერილის ნომერი: №10/95251681-95, 17.06.2025 წელი).

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა მზია ბოლქვაძემ მომხსენებელს პირველ რიგში მადლობა გადაუხადა ანგარიშის წარმოდგენისათვის და შემდეგ კითხვით მიმართა, როგორც ყველასთვის ცნობილია დილით მუნიციპალური ავტობუსი (ე.წ. ,,მწვანე ავტობუსი") შეღავათით ემსახურება ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, მათ შორის სტუდენტებსაც (სტუდენტებზე, სკოლის მოსწავლეებზე, შშმ პირებზე, ომის ვეტერანებზე უფასოა). თუმცა ავტობუსის დილის მარშრუტი ბათუმიდან იწყება, რის გამოც ამ შეღავათით ქედიდან სტუდენტები ფაქტიურად, დილით ვერ სარგებლობდა. ამიტომ აინტერესებდა რატომ არ იყო აღნიშნული ავტობუსის დილის მარშრუტი ქედიდან?

რაზედაც მომხსენებელმა მალხაზ დიასამიძემ უპასუხა, რომ აღნიშნული ავტობუსი საღამოს (6 საათზე) მარშრუტს ქედიდან ბათუმის მიმართულებით ასრულებს და დილით ბათუმიდან უწევს გამოსვლა. ამ ეტაპზე ქედის მუნიციპალიტეტს ერთი მუნიციპალური ავტობუსი ჰყავს და მაქსიმალურად, რაც შესაძლებელი იყო ემსახურებოდა მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

მომხსენებელს კითხვა დაუსვა საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ, ამბულატორიული მომსახურების პროგრამის გასული წლის ბიუჯეტიდან მხოლოდ 89,03% იყო ათვისებული, ხოლო 10,97%

იყო ეკონომია. კერძოდ, საწვავის ლიმიტის სრულად ვერ ათვისებით. ჯემალ დავითაძეს აინტერესებდა თუ რატომ ვერ იქნა ათვისებული სრულად?

კითხვასთან დაკავშირებით მომხსენებელმა უპასუხა, რომ ამბულატორიების მომსახურე მანქანების საწვავის ხარჯვით იყო განპირობებული დარჩენილი ეკონომია. აქვე აღნიშნა, რომ მოგეხსენებათ ქედის მუნიციპალიტეტის სოფლები დაბიდან არ არის დიდი მანძილით დაშორებული და ამასთანავე აღნიშნული მანქანები დღის ბოლოს ამბულატორიების სადგომზე ჩერდება და სხვა დამატებით მანძილს არ გადის (პირადი მიზნისთვის არ ხდება მანქანების გამოყენება). აქედან გამომდინარე, რეალური ხარჯვა რაც აქვთ ისაა ათვისებული მხოლოდ.

კითხვების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილებაზე ზრუნვა და ამას ,,ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო" ნამდვილად აკეთებდა. ამირან ცინცაძემ მადლობა გადაუხადა მალხაზ დიასამიძეს ანგარიშის წარმოდგენისთვის და სამომავლოდ წარმატებები უსურვა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95251781, 27.06.2025 წელი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ,,ქედის" საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 14:35 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში **ნონა ბერიძე**